საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა.
თბილისი, ვერცხლის ქუჩა, 39



თბილისი – 2013

## საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ვერცხლის ქუჩის ბოლო მონაკვეთში და წარმოადგენს ნასახლარს (ვერცხლის ქუჩა, 39, სურ.1). არნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობა დაინგრა დაახლოებით 20–30 წლის წინ.

ეს ტერიტორია თბილისის ისტორიულ ნაწილს მიეკუთვნება და წარმოადგენს შუასაუკუნეების თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ძირითადი უბნის – კალას შემადგენელ ნაწილს.

კალას უბანში მრავალი არქიტექტურული ძეგლია, კერძოდ, მხოლოდ ვერცხლის ქუჩაზე ეს არის საცხოვრებელი სახლები ## 27, 29, 33, 38, 42, 48, 56, აგრეთვე ვერცხლის შესახვევი 4, 18, რომლებსაც გარკვეული ადგილი უკავია ქალაქის ურბანულ მემკვიდრეობაში და მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ნივთის სტატუსი.

## კალას უბნის ისტორიულ–არქიტექტურული განვითარება

კალა – შუა საუკუნეების თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებელი უძველესი და მთავარი უბანია მტკვრის მარჯვენა მხარეს, რომელიც მოიცავს ტეტიტორიას მდ. წავკისისწყლის მარცხენა მხარეს – ახლანდელი შ.დადიანის ქუჩის, თავისუფლების მოედნის, ა.პუშკინის, ნ.ბარათაშვილის ქუჩებისა და მტკვრის კალაპოტის გაყოლებით. წყაროებში პირველად იხსენიება V საუკუნის მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით (კალის ციხე, კალის ველი). ერთი მოსაზრებით “კალა” გეოგრაფიული სახელია; მეორე მოსაზრებით, “კალა” მომდინარეობს არაბული სიტყვიდან “ყალა “ (ციხესიმაგრე). ჯ.გიუნაშვილმა, ტერმინ “ნარიყალის“ ახსნისას აღნიშნა, რომ ტერმინ ნარინ–ყალას მეორე ნაწილის ყალა, კარგად ცნობილი და აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული არაბული წარმოშობის ლექსემაა, რომელიც არნიშნავს “ციხესიმაგრეს“. ს.ჯანაშიას მოსაზრებით “კალა“ და “ტფილისი”,...ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილია, ერთი მოსახლეობის და მეორე ციხის პუნქტებია... არსაიდან არ ჩანს, რომ უკანასკნელი სახელწოდება “კალა” მართლაც არაბული სიტყვაა, და არა საკუთარი გეოგრაფიული სახელი, გარეგნულად მსგავსი უცხო სიტყვისა“. შ.მესხიას ვარაუდით, “კალა“ არ უნდა მომდინარეობდეს მსგავსი არაბული “ყალა“(ციხე) სიტყვიდან. ის ამ შემთხვევაში თბილისის ციხესიმაგრის გეოგრაფიულ სახელად ჩანს. ლ.ჭილაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ “კალა“ ამ ციხის აღმნიშვნელი სახელია, რომელიც გვხვდება კომპოზიტებშიც: “ნარიყალა” და “კალოუბანი”.

ლინგვისტიკური მასალის მოშველიებით ზოგიერთი თვლის, რომ “კალა“, ქვას, კლდეს ნიშნავს. ამ ახსნაში არსებობს საცთური– ძველი კალის ჩრდილო–დასავლეთ ფერდს (სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთის ფერდს) “კლდის უბანი“ ეწოდებოდა.

კალისა და მდ. წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე საკუთრივ თბილისის (აბანოების უბანი; უფრო გვიანდელი და ფართო მნიშვნელობით – სეიდაბადი) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქი. ვახუშტის გადმოცემით, ... კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი... სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს". ვახუშტი ადგილის ძველ სახელებს – ტფილისს და კალას უსადაგებს გვიანი ხანის ( V – XVIII სს.) სახელებს და წერს " ხოლო აწ უწოდებენ ... კალას – ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბადს..." ამგვარად, კალა როგორც სამოსახლო პუნქტის სახელი, ადგილს უთმობს სახელს – ტფილისს. ამის შემდეგ კალა უფრო მეტად ქალაქის ციხის – ციტადელის სახელად იხმარებოდა (უფრო გვიან ასევე ეწოდებოდა შურის ციხე, ნარიკალა). პირველ გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი ქალაქის გეგმა წარმოადგენს (სურ.2). მისი აღწერილობით თბილისი იმ ხანებში ე.ი. XVIII საუკუნის დამდეგს შედგებოდა ოთხი ნაწილისაგან – საკუთრივ თბილისი (აბანოების უბანი, რომელსაც XVII საუკუნიდან სეიდაბადს უწოდებდნენ), კალა – ქალაქის ძირითადი ნაწილი, ისნი (ისანი) და ე.წ. გარეთუბანი. თავის მხრივ, კალას უბანი იყოფოდა ზემო უბნად (ცენტრი – ბატონის მოედანი, ახლანდელი ერეკლე მეორის მოედანი) და ქვემო უბნად (ცენტრი – ციხის მოედანი, იგივე თათრის მოედანი, ახლანდელი ვახტანგ გორგასლის მოედანი). მათი გამყოფი საზღვარი იყო შუა ბაზარი (გვიანდელი სომხის ბაზარი), ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩის ხაზზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ, ზემო უბანში განლაგებულია ჩვენი საპროექტო ტერიტორია. კალას უბანი გალავნით იყო შემოფარგლული. მისი უმთავრესი ნაწილები კოშკებიანი გალავნების შიგნითაა მოქცეული; გარე სამყაროს იგი გალავნებში მოწყობილი კარებით უკავშირდება. კალის გალავანს დატანებული ჰქონდა 6 კარიბჭე: აბანოს კარი, განჯისკარი, კოჯრის კარი, დიღმის კარი, დღევანდელი ვერცხლის და პუშკინის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე, რომლის მახლობლად არის ჩვენი საპროექტო ტერიტორია, მოედნის კარი, წყლის კარი. დიღმის კარი (გეგმაზე დიღმის კარი # 22 – ითაა დატანილი, სურ.2) აკავშირებდა კალას გარეთუბანთან. აქედან იწყებოდა დიღმის გზის ერთ–ერთი განშტოება. ამავე დროს აქ იწყებოდა ძველი თბილისის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საგზაო არტერია, რომელიც მიუყვებოდა ახლანდელი ვერცხლის და კ.აფხაზის ქუჩების ხაზს. ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების გარდა, კათოლიკური ეკლესიაც (ე.წ.ფრანგთა საყდარიც ) იდგა. ზემო უბანი, ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბანი, კალის ნაწილია (ახლანდელი კრწანისის რაიონი). სახელწოდება ზემო უბანი მოდის კალის ცენტრალური არტერიის – შუა ბაზრის, შემდგომში სომხის ბაზრის (კ.აფხაზის ქუჩა) მარცხნივ, ან კიდევ მტკვრის დინების ზემო მდებარეობის გამო, ქვემო უბნის საპირისპიროდ. ზემო უბანი შემოსაზღვრული იყო ახლანდელი კ.აფხაზის, ნ.ბარათაშვილის ქუჩითა და მტკვრის კალაპოტით. ზემო უბნის ისტორიული ცენტრია ზემო მოედანი (იგივე ბატონის

მოედანი, ახლანდელი ერეკლე II–ის მოედანი). ზემო უბანი იყოფოდა მიკროუბნებად, რომელთაც სახელები ერქმეოდათ ეკლესიის, მნიშვნელოვანი ნაგებობის ან მაცხოვრებლის მიხედვით; მაგ. ანჩისხატის უბანი, სიონის უბანი, ორბელიანების ახალი უბანი, კვირაცხოვლის ქუჩა (კვირაცხოვლის ეკლესიის მიხედვით, ახლანდელი ნ. და ი. ნაკაშიძეების ქუჩა) და სხვ. ზემო უბანში გვიანდელ შუა საუკუნეებში სასახლეები ჰქონდათ მეფეებს, ფეოდალურ არისტოკრატიას, უმაღლეს სამღვდელოებას. აქვე იყო ქალაქის ერთ–ერთი საქმიანი ცენტრი - რასტაბაზარი, სხვა სავაჭრო–სახელოსნო რიგები, ქარვასლები.

XVIII საუკუნის მიწურული ტრაგიკული ფურცელია თბილისის ისტორიაში: 1795 წელს ირანის შაჰმა აღა–მაჰმად–ხანმა აიკლო და ააოხრა ქალაქი. თბილისი ნანგრევებად იქცა. ამ შემოსევის წყალობით ჩვენამდის ვერ მოაღწია მეფისა და ფეოდალთა სასახლეებმა, მრავალმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობამ, განადგურდა საცხოვრებელ სახლთა დიდი ნაწილიც. ამიტომაც თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს, კალის, ისევე როგორც შუასაუკუნეების თბილისის სხვა უბნების, დღევანდელი განაშენიანება (საცხოვრებელი სახლები) მთლიანად XIX საუკუნეშია ჩამოყალიბებული, თუმც სარდაფები ზოგიერთ შემთხვევაში ადრინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენა ძირითადად ძველ საძირკვლებზე ხდებოდა. ამასთანავე ერთად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ძირითადად შენარჩუნებულია ფეოდალური ქალაქის ქალაქთმშენებლური სტრუქტურა, მისი ქუჩების ქსელი.

რეალურად თბილისის განახლება მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. სახელდობრ ცნობილია, რომ აღა–მაჰმად–ხანის მიერ დანგრეული კალა ხელმეორედ აშენდა XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ამავე წლებში იწყება ქალაქის თავისუფალი გაშლა ძველი გალავნის გარეთ. ეს ნიშნავდა ახალი სამოსახლო ტერიტორიების ათვისებას. მაგრამ, როგორც მოწმობს საბუთები, თბილისის მშენებლობა არა მარტო XIX საუკუნის 10–იან წლებში, არამედ 20–40–იან წლებშიც ნელა მიიწევდა წინ.

კალას ძველი გალავანი, რომელსაც აღარავითარი ფუნქცია აღარ ჰქონდა, XIX საუკუნის დასაწყისში დაანგრიეს. ამავე დროს კალას, რომელიც წინათ ქალაქის ბირთვს წარმოადგენდა, ახლა უკვე დაკარგული აქვს წინანდელი მნიშვნელობა. კალას გეგმა ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების დახლართული, ქაოსური ქსელიდან შედგება: თითქმის არც ერთი სწორი ქუჩა, არც ერთი, წესიერი მოხაზულობის მქონე, კვარტალი; პატარა, შემთხვევითი მოხაზულობის, მოედნები. გარკვევით ჩანს, რომ კალაში მშენებლობა საუკუნეთა მანძილზე სრული თვითდინებით, სტიქიურად წარმოებდა. სპეციფიკური იყო კალას უბნის მდგომარეობაც XIX საუკუნის მანძილზე, როდესაც მის გეგმაში თითქმის არაფერი არ შეცვლილა (ამას გვიჩვენებს თუნდაც 1800 წლის გეგმის შედარება ქალაქის უფრო გვიანდელ გეგმებთან, კერძოდ,1828,1833,1844,1867 წლის გეგმებთან და თვით დღევანდელ გეგმასთანაც კი).

1800 წლის თბილისის გეგმაზე (სურ.3), რომელიც ფაქტიურად არის ქალაქის პირველი ინსტრუმენტული გეგმა და აქედან გამომდინარე უფრო ზუსტი ვიდრე წინა გეგმები, აღნიშნულია კალაში არსებული ძირითადი ქუჩები. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ გეგმაზე უკვე დატანილია ახლანდელი ვერცხლის ქუჩა. ვახუშტი ბატონიშვილი მის მიერ 1735 წელს შედგენილ რუკაზე არ გვიჩვენებს კალის ქუჩების ქსელს, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც მიანიშნებს რამდენიმე ქუჩას, რომლებსაც ალბათ ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, მათ შორის მოხვედრილია ვერცხლის ქუჩაც. 1800 წლის გეგმის შედარება ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმასთან გვიჩვენებს, რომ ძირითადი გეგმარებითი სტრუქტურა შენარჩუნებული იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამავე დროს თბილისის ქალაქგეგმარებითი განვითარების ისტორიის ანალიზი უფლებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ 1800 წლის გეგმა გამოხატავს წინა ანუ შუა საუკუნეების თბილისის სტრუქტურული დაგეგმარების პრინციპებს.

## მიკროუბნის ისტორიულ–არქიტექტურული განვითარება

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჩვენი საპროექტო ტერიტორია ანუ ნასახლარი მდებარეობს ზემო უბანში (ახლანდელი კრწანისის რაიონი), ვერცხლის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, მჭიდროდ განაშენიანებულ კვარტალში (სურ.1). თვით ვერცხლის ქუჩა, კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ალექსანდრე პუშკინის ქუჩამდე, ძველი თბილისის ერთ–ერთი უძველესი ქუჩაა, რომელიც როგორც ჩანს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებშიც არსებობდა. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ამ მიდამოებში თბილისელ ოქრომჭედელთა საქმიანობასთან. მას ზარგარხანის (ვერცხლისა და ოქროს სახელოსნოების რიგი) ქუჩა ერქვა. 1841 წელს შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც პ.ციციანოვის ქუჩა (კ.აფხაზის ქუჩის ნაწილთან ერტად). 1843 წელს შედგენილ სიაში კი – როგორც ვერცხლის რიგი, ხოლო 1925 წლის ცნობარში – როგორც ვერცხლის ქუჩა. ქუჩამ სახე და ტრადიციები შეინარჩუნა თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დატანილია დიღმის კარი (# 22). რომელიც დაკავშირებული იყო ახლანდელ ვერცხლის ქუჩასთან (სურ.3). ქუჩაზე შემორჩენილია XIX საუკუნის შუახანებისა და XIX საუკუნის დასასრულის საცხოვრებული სახლები. ვარაუდობთ, რომ ქუჩის განაშენიანების აღდგენა–განახლება, აღა–მაჰმად–ხანის მიერ 1795 წელს თბილისის დარბევის შემდეგ, 1810–20–იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო მისი საბოლოო, დრევანდელი სახე ძირითადად XIX საუკუნის მიწურულში ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა ამ ხნის განმავლობაში ზოგი ძველი სახლი ახლით შეიცვაბა. მაგრამ, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქუჩაზე XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ფაქტიურად

დღემდე, აშენდა სულ რამდენიმე ( 3–4) ახალი ნაგებობა, მათ შორის არის ვერცხლის ქუჩა, # 3 და #45 მდებარე შენობები).

ცალკეულ შენობათაგან განსაკუთრებით საინტერესოა საცხოვრებელი სახლები: # 29 (XIX საუკუნის დასასრული), # 42 (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), # 43 (XIX საუკუნის შუახანა), # 48 (XIX საუკუნის დასასრული), # 50 (XIX საუკუნის დასასრული), # 56 (XIX საუკუნის შუახანა), ვერცხლის შესახვევი, # 4 ((XIX საუკუნის შუახანა) და # 18 (XIX საუკუნის შუახანა). აღნიშნული სახლები ქუჩის და ზოგადად უბნის ორგანულ ნაწილად აღიქმება. ამას ხელს უწყობს მათი მასშტაბი, პროპორციები, აგრეთვე მათი ფასადის საერთო არქიტექტურულ–მხატვრული სახე იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი დეკორატიული მორთულობით. სახლების ნაწილს ძველი თბილისური საცხოვრებული სახლის გარეგნული სახე აქვს, თუმცა სახლების ფასადთა უმეტესობას მხატვრულ გადაწყვეტას საფუზვლად დაედო XIX საუკუნის ინტერპრეტაციით მოცემული რენესანსული და ბაროკოს ფორმები. აქედან გამომდინარე, იგი მორთულია იმ პერიოდის ევროპული არქიტექტურიდან აღებული პროფილებითა და სამკაულებით. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ქუჩას დღესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს მისი განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული მასშტაბი და ხასიათი, რაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს. ქუჩის განაშენიანება პერიმეტრულია. ქუჩის არსებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების სართულიანობა ძირითადად ორი სართულია, აგრეთვე ვხვდება სამსართულიანი და ერთსართულიანი შენობები.

## საპროექტო ტერიტორიის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ნასახლარს, რომელზედაც დღესაც შემორჩენილია აქ არსებული შენობის ნანგრევები (სურ.4,5,6). აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ვერცხლის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, ვერცხლის ქუჩისა (სურ.7,8,9) და ვერცხლის შესახვევის გადაკვეთაზე (სურ.10,11). საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირედ, ვერცხლის ქუჩის მხრიდან, მდებარეობს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მაღალი სარდაფის სართულით (ვერცხლის ქუჩა, 48, სურ.12), რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ნივთის სტატუსი. ვერცხლის ქუჩის შესახვევში კი, ასევე საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს, დგას ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ვერცხლის შესახვევი, 4, სურ.13), რომელსაც ეზოს მხრიდან თბილისური საცხოვრებლის დამახასიათებელი ელემენტი – ხის ჭვირულმოჯირიანი აივანი აქვს. ამ საცხოვრებელ სახლს აგრეთვე აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. აღმოსავლეთის მხრიდან კი საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ვერცხლის ქუჩა, 37, სურ.14), ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან – ერთ და ორ სართულიანი საცხოვრებელი შენობა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საპროექტო ტერიტორიაზე არსებობდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც ამჟამად დანგრეულია, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ამ ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს ისტორიული კალის ნაწილს, მანამდეც ე.ი. უფრო ადრეულ ხანებში არ ყოფილიყო რაიმე ნაგებობა. ეს რა თქმა უნდა მოითხოვს გარკვეულ ყურადღებას მშენებლობის წარმოების დროს და არქეოლოგების ჩართვის შესაძლებლობას.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად, როგორც გვიჩვენა ჩატარებულმა კვლევამ, საპროექტო ტერიტორია, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ნასახლარ, მდებარეობს ახლანდელი ვერცხლის ქუჩის ბოლო მონაკვეთში (ვერცხლის, 39). აქედან გამომდინარე ეს ტერიტორია თბილისის ისტორიულ ზონას მიეკუთვნება და წარმოადგენს შუასაუკუნეების თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ძირითადი უბნის –კალის შემადგენელ ნაწილს (ზემო უბანი). უბნის არსებული განაშენიანება აქტიურად მონაწილეობს თბილისის ცენტრის არქიტექტურულ–მხატვრული სახის ფორმირებაში. ეს გარემოება განაპირობებს ახალი ნაგებობის "ჩაწერის" სირთულეს მის ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანების სტრუქტურაში და მასშტაბში. ამ განაშენიანების ზოგად საქალაქო მნიშვნელობის იგნორირება, შეიძლება შეიტანოს არასასურველი დისონანსი განაშენიანების ჩამოყალიბებულ მასშტაბში. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ მთლიანობაში, შენარჩუნებული უნდა იყოს ამ უბნის დაგეგმარების სტრუქტურა და არქიტექტურულ–სივრცობრივი გარემო, ურბანული ტერიტორიის ისტორიული ხასიათი და ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ ხასიათს გამოხატავს. დაცული უნდა იყოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილი, რომელიც ძირითადად ქუჩების ქსელითაა განსაზღვრული. ახალი მოცულობების გაჩენის შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებული მასშტაბი, გეგმარებითი სტრუქტურა და ხასიათი. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი მოცულობების გაჩენისას ანგარიში უნდა გაეწიოს არსებულ სივრცით ორგანიზაციას – განსაკუთრებით მის მასშტაბს, აგრეთვე მათი მხატვრული გადაწყვეტა შეხამებული უნდა იყოს არსებულ შენობებთან. ზემოთაღნიშნული პირობების გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორიაზე სავსებით დასაშვებია ახალი მოცულობის გაჩენა, მითუმეტის, რომ ამჟამად დარღვეულია ამ მიკროუბნის ქალაქგეგმარებითი და სივრცობრივი სტრუქტურა, რაც ჩვენი აზრით, გარკვეულ წილად, გამოწვეულია ნასახლარის არსებობით ამ ტერიტორიაზე.

არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე
თ. გერსამია

# ბიბლიოგრაფია და გამოყენებული მასალები


1. ბერიძე ვ.  თბილისის ხუროთმოღვრება. 1801 – 1917 წლები. ტომი I,  თბილისი, 1960;
2. ბერძნიშვილი მამისა. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით, თბილისი 1965;
3. ენციკლოპედია “ თბილისი “. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 2002;
4. თბილისი ენციკლოპედია ქუჩები, გამზირები, მოედნები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2008;
5. Тенгиз Квирквелия. Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1982;
6. Т.Г.Квирквелия. Архитектура Тбилиси, Москва, 1985.




სურ.1



სურ.2




სურ. 3



სურ.4



სურ. 5



სურ. 6




სურ.7




სურ.8



სურ.9



სურ.10



სურ.11



სურ.12

სურ.13



სურ.14



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

*41018897258913*

41018897258913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

**რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N131169930**

*N131169930*

რეგისტრაციის თარიღი

**07.11.2013 წ**

ნოტარიუსი: ნანა ჩუბინიძე
მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #22, სადარბაზო #1, ფართი #5
ტელეფონი: 2431061

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ცამეტი წლის შვიდ ნოემბერს, მე საქართველოს ნოტარიუსს, ნანა ჩუბინიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #22, სადარბაზო #1, ფართი #5**; მომმართა ირაკლი ქაფიანიძემ, რომლის პირადობა ჩემთვის ცნობილია. ირაკლი ქაფიანიძემ განაცხადა, რომ მას, როგორც შპს „სილვერ 39"-ს (ს/კ 405004819) დირექტორს, სურს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება **გია ნადირაძეს**. ამ მიზნით სურს მინდობილობის შედგენა და მისი დადასტურება სანოტარო წესით. მე შევამოწმე ირაკლი ქაფიანიძის, როგორც შპს „სილვერ 39"-ს დირექტორის უფლებამოსილების ნამდვილობა, რაც თავის მხრივ, დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „სილვერ 39"-ს (ს/კ 405004819) შესახებ, განაცხადის #674456 განაცხადის რეგისტრაციის #B13105135 ამონაწერის მომზადების თარიღი: 25/10/2013.

მე, ნოტარიუსმა შევამოწმე ირაკლი ქაფიანიძის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე ირაკლი ქაფიანიძის ნების გამოვლენის ნამდვილობა, დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განეკუთვნება მას წინამდებარე მინდობილობაზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ის ნამდვილად შეესაბამება მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა

**დღეს, ორი ათას ცამეტი წლის შვიდ ნოემბერს, მე, ირაკლი ქაფიანიძემ** (დაბ: 30.07.1976წ. გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, კიკეთის 9; პირადი #01011008250), **როგორც შპს „სილვერ 39"-ს** (ს/კ 405004819) (შემდგომში „კომპანია") დირექტორმა (შემდგომში „მინდობილობის გამცემი") **გია ნადირაძეს** (დაბ:28.04.1942წ. პირადი #01008003261 მცხ: ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის ქუჩა #24ა, ბინა 42) (შემდგომში „მინდობილი პირი"), მიევანიჭე უფლებამოსილება ჩემი სახელით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. წარმოადგინოს კომპანია თბილისის მერიაში და მის საქალაქო სამსახურებში, მათ შორის თბილისის არქიტექტურის სამსახურში, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მშენებლობის პროექტის შესათანხმებლად ან/და მშენებლობის ნებართვის აღებასთან, კორექტირებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან/და დემონტაჟთან დაკავშირებით, შეასრულოს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად, ატვირთოს ელექტრონულად შესაბამის საიტზე, განახორციელოს პროექტის კორექტირება/შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროექტში, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელებისათვის, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტაციას.
2. წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორიათას თოთხმეტი წლის შვიდი ნოემბრის ჩათვლით.
3. მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნანა ჩუბინიძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ხელზე მინდობილობის გამცემს.

http://notary.napr.gov.ge/notary/CoverPage.do?...

4. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 10.00 /ათი/ ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილებისა - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა) + 2.00 /ორი/ ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო მოსაკრებელი (თანახმად ზემოთაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლისა), სულ ჯამში გადახდილია 12.00 /თორმეტი/ ლარი.

ირაკლი ქაფიანიძე

შპს „სილვერ 39"-ს (ს/კ 405004819) დირექტორი

ნოტარიუსი ნანა ჩუბინიძე

